

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: მათემატიკური ლოგიკა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მათემატიკის დოქტორი, Ph.D. in Mathematics.
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი
 ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი რევაზ გრიგოლია

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი. პროგრამის მიზანია მკვლევარების მომზადება მათემატიკურ ლოგიკაში და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ დარგებში. პროგრამის დასრულების შემდეგ მომზადდება კვლევის უნარის მქონე მაღალი კლასის სპეციალისტი.

შედეგი: თანამედროვე მიღწევების ცოდნა მათემატიკურ ლოგიკაში; ამოცანის მათემატიკურად ჩამოყალიბების უნარი; პრობლემის დასმისა და გადაწყვეტის უნარი; ინფორმაციის მოძიების და დამუშავების უნარი.

სასწავლო კომპონენტი: დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს სავალდებულო საუნივერსიტეტო კურსებს არანაკლებ 20 კრედიტისა. დარჩენილ 40 კრედიტს, ხელმძღვანელთან შეთანხმებით, დოქტორანტი აგროვებს სხვადასხვა კურსების გავლით (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი):

	საგნის დასახელება	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა
1.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5
2	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	სავალდებულო	5
3	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	სავალდებულო	5
4	პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	5

არჩევითი კურსები:

1. **მათემატიკური ლოგიკის საფუძვლები** (10 კრედიტი, I-II სემესტრი, პროფ. რ. გრიგოლია, პროფ. რ. ომანაძე, თსუ)
2. **სიმრავლეთა თეორიის საფუძვლები** (5 კრედიტი, I-II სემესტრი, პროფ. ა. ყიფიანი, თსუ)
3. **შესავალი ალგებრულ ლოგიკაში** (5 კრედიტი, II სემესტრი, პროფ. რ. გრიგოლია, თსუ)
4. **უნივერსალური ალგებრა და ლოგიკა** (5 კრედიტი, II სემესტრი, დოქტორი მ. ჯიბლაძე, მათემატიკის ინსტიტუტი)
5. **ალგებრული ლოგიკა** (5 კრედიტი, II-III სემესტრი, პროფ. რ. გრიგოლია, თსუ)
6. **არაკლასიკური ლოგიკა** (10 კრედიტი, III-IV სემესტრი, დოქტორი დ. გაბელაია, მათემატიკის ინსტიტუტი)
7. **ფაზილოგიკა** (10 კრედიტი, IV სემესტრი, პროფ. რ. გრიგოლია და პროფ. ტ. კისელიოვა)

გარდა ამისა დოქტორანტი უნდა გამოვიდეს საერთაშორისო და ადგილობრივ სემინარზე, კონფერენციებზე; ჩაატაროს პრაქტიკული მეცადინეობები და კონსულტაციები ბაკალავრიატის სტუდენტებთან.

დასაქმების სფეროები: სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა: მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი მათემატიკაში ან ინფორმატიკაში.

სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების მატერიალურ ტექნიკური ბაზა: სამუშაო ოთახი თსუ-სა და კიბერნეტიკის ინსტიტუტში, ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერი.

მისაღები კონტიგენტის რაოდენობა: ორი დოქტორანტი
სწავლის ხანგრძლივობა: 5 წელი